ბიბლიოთეკის აშენების იდეის შესახებ ინფორმაცია

მოგეხსენებათ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდები, რომელთაც არ აქვთ ერთად შეკრების ადგილი, სადაც ისაუბრებენ და საზოგადოებას გააცნობენ საკუთარ შემოქმედებას. გამომდინარე აქედან, ერთ–ერთ ღონისძიებაზე, (კონკრეტულად კი ეს იყო 2013 წლის 12 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, როცა კულტურის სახლში იმართებოდა პოეზიის საღამო და მიწვეულნი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები) გამგებელმა ბატონმა მერაბ თოფჩიშვილმა ახალგაზრდებს მისცა დაპირება, რომ აუცილებლად აშენდებოდა ქალაქში ისეთი კერა, სადაც ისინი შეძლებდნენ შეკრებას და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებას. სწორედ ამიტომ გასული წლის (2014 წელს) ოქტომბერში, ქალაქ მარნეულის ცენტრალურ ქუჩაზე რუსთაველის #71–ში დაიწყო, თანამედროვე სტანდარტების მქონე ბიბლიოთეკის მშენებლობა, რომლის მიზანია მოემსახუროს ცოდნაზე, განათლებაზე ორიენტირებულ წიგნიერი, განათლებული და ლოგიკურად მოაზროვნე ახალგაზრდის ჩამოყალიბების საქმეს. გარდა ამისა, ეს იქნება ადგილი, სადაც ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა– „ფინჯან ყავაზე“ თავშეყრის, ერთმანეთთან აზრების გაზიარების, ლიტერატურული საღამოების მოწყობის და ა.შ

ახალი ბიბლიოთეკის მოწყობის პროექტი შ.პ.ს „მშენ-ექსპერტმა“ შეიმუშავა, ხოლო სამშენებლო სამუშაოები შ.პ.ს „ალგეთმა“ შეასრულა.

ვინაიდან ბიბლიოთეკას მრავალფუნქციური უნდა იყოს, ბევრი ნიუანსის გათავლისწინება მოუწია თვითმმართველობას და შესაბამისად ამ მიმართულებით სამუშაოც დროში გაიწელა. მოგეხსენებათ, შენობის მშენებლობა და რემონტი უკვე დასრულებულია, ახლა მიმდინარებს ეზოს კეთილმოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, როგორც კი დასრულდება აღნიშნული სკვერის მოწყობის სამუშაოები ამავდროულად დაიტვირთება შენობის შიდა ფართი და უახლოეს მომავალში საზეიმოდ გაიხსნება.